თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი

პერსონალის შერჩევის წესი

თბილისი,
2024 წელი

მუხლი 1. კონკურსის ჩატარების პრინციპები

1. უნივერსიტეტის აკადემიური თანამდებობების დაკავება ხდება ღია კონკურსის წესით, რომელიც შეესაბამება საჯაროობის, გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპებს.

2. ღია კონკურსი წარმოებს საჯაროობისა და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვით, უმაღლესი განათლების სფეროში ყოველგვარი დისკრიმინაციის აკრძალვის პრინციპზე დაყრდნობით, მათ შორის აკადემიური, რელიგიური თუ ეთნიკური კუთვნილების ან/და შეხედულების, სქესის, სოციალური წარმოშობისა და სხვა ნიშნით დისკრიმინაციის დაუშვებლობით.

მუხლი 2. კონკურსის ჩატარების სამართლებრივი საფუძველი

კონკურსი ტარდება ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის, უნივერისტეტის წესდებისა და ამ წესის შესაბამისად.

მუხლი 3. აკადემიური თანამდებობის დაკავების პირობები

1. პროფესორის თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება.

2. ასოცირებული პროფესორის თანამდებობის დასაკავებლად პირს უნდა ჰქონდეს დოქტორის აკადემიური ხარისხი ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხი და სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არა ნაკლებ 3 წლის გამოცდილება.

3. ასისტენტ-პროფესორის თანამდებობის დასაკავებლად პირს უნდა ჰქონდეს დოქტორის აკადემიური ხარისხი ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხი. ასისტენტ-პროფესორი თანამდებობაზე აირჩევა 3 ან 4 წლის ვადით.

4. ასისტენტის თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორანტი 3 ან 4 წლის ვადით.

5. პროფესორის ან ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე პირი აირჩევა 3-4 წლის ვადით.

6. პროფესორის, ასოცირებული პროფესორის, ასისტენტ-პროფესორის და ასისტენტის თანამდებობაზე არჩევის ვადას განსაზღვრავს საკონკურსო კომისია.

7. „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 35-ე მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე, აკადემიური თანამდებობები შეიძლება დაკავებულ იქნეს პროფესიული ნიშნით კვალიფიციური პერსონალის მიერ. ამ შემთხვევაში, პირის კვალიფიკაცია შეიძლება დასტურდებოდეს პროფესიული გამოცდილებით, სპეციალური მომზადებით ან/და პუბლიკაციებით. შესაბამისი კვალიფიკაციის მქონედ ითვლება პირი, რომელსაც აქვს

პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.

მუხლი 4. საკონკურსო კომისია

1. უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის თანამდებობაზე დანიშვნის მიზნით მოქმედებს საკონკურსო კომისია, რომლის წევრები არიან:
ა) რექტორი;
ბ) კანცლერი;
გ) პრორექტორები.

2. საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე არის რექტორი.

3. საკონკურსო კომისია გადაწყვეტილებას იღებს ხმათა უმრავლესობით. ხმების გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია თავმჯდომარის ხმა.

4. საკონკურსო კომისიას ჰყავს მდივანი, რომელიც არის ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი. მდივანს არ აქვს ხმის უფლება. მდივანი ადგენს სხდომის ოქმებს და თავმჯდომარესთან ერთად აწერს ხელს.

5. საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებით, მის შეადგენლობაში შეიძლება სათათბირო ხმის უფლებით მოწვეულ იქნეს უნივერსიტეტის სხვა თანამშრომელი.

6. კონკურსის სამართლიანად, კვალიფიციურად და ობიექტურად ჩატარების მიზნით, საკონკურსო კომისია კონკურსის გამოცხადების შემდეგ, საჭიროებისამებრ, ქმნის სპეციალიზირებულ ქვეკომისიებს და ამტკიცებს მათ შემადგენლობას. ქვეკომისიის გადაწყვეტილებას სარეკომენდაციო ხასიათი აქვს. სპეციალიზირებული ქვეკომისია წყვეტს საქმიანობას კონკურსის დასრულებისთანავე.

მუხლი 5. კონკურსის გამოცხადება

1. კონკრეტულ მიმართულებებზე აკადემიური პოზიციების დასაკავებლად უნივერსიტეტის რექტორი გამოსცემს ბრძანებას, რაც არის კონკურსის გამოცხადების საფუძველი.

2. კონკურსის ჩატარების თარიღი და პირობები ქვეყნდება საბუთების მიღებამდე არანაკლებ 1 თვით ადრე.

3. განცხადება კონკურსის ჩატარების შესახებ ქვეყნდება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე. ასევე, განცხადება დამატებით შეიძლება გამოქვეყნდეს სხვა ვებ-გვერდზე ან/და საინფორმაციო საშუალებებში.

4. ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული რექტორის ბრძანებით განისაზღვრება კონკურსის პირობები, კრიტერიუმები, დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები (ასეთის

არსებობის შემთხვევაში), წარმოსადგენი დოკუმენტაციის ჩამონათვალი და კონკურსის ვადები.

მუხლი 6. კონკურსში მონაწილეობის წინაპირობები

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად კანდიდატებმა უნდა შეავსონ მე-5 მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრულ განცხადებაში მითითებული სპეციალური ელექტრონული ფორმა და წარმოადგინონ:

ა) პირადობის დამადასტურებული დოკუმენტის ასლი;
ბ) ბიოგრაფია/რეზიუმე (CV), ქართულ ან/და ინგლისურ ენაზე;
გ) სამოტივაციო წერილი (არა უმეტეს ერთი გვერდისა);
დ) სილაბუსი, რომელიც აღწერს კურსის მიზანს, შინაარსს, სწავლის შედეგებს, სწავლების მეთოდოლოგიას და სასწავლო კურსის დროს გამოყენებულ ძირითად და დამხმარე ლიტერატურას;
ე) ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტი (დიპლომის ასლი ან ცნობა დოქტორანტურაში სწავლის შესახებ);
ვ) პუბლიკაციების ჩამონათვალი (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

მუხლი 7. აკადემიური პერსონალის კონკურსის ეტაპები

1. კონკურსის პირველ ეტაპზე კანდიდატთა შერჩევა ხდება ამ წესის მე-6 მუხლით განსაზღვრული ინფორმაციის/დოკუმენტების შესწავლისა და ანალიზის საფუძველზე.

2. კანდიდატების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის შესწავლისა და განხილვის შედეგად, საკონკურსო კომისია ითვალისწინებს მათ კვალიფიკაციასა და პროფესიულ გამოცდილებას და აღნიშნულის საფუძველზე გადაწყვეტილებას იღებს აკადემიური პერსონალის თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ.

3. საკონკურსო კომისიას უფლება აქვს დანიშნოს საჩვენებელი/გაცნობითი ლექცია, დამატებითი გასაუბრება, ან/და სხვა სახის დამატებითი პროცედურა, რაც აუცილებელია აკადემიური თანამდებობის დაკავების მსურველის კვალიფიკაციისა და უნარების შესამოწმებლად.

4. საკონკურსო კომისიას ასევე უფლება აქვს, მოიწვიოს კონსულტანტი/სპეციალისტი, რომელიც მონაწილეობას მიიღებს კანდიდატის შეფასებაში.

5. კომისიის გადაწყვეტილება ფორმდება წერილობითი ფორმით. ასევე, შესაძლებელია განხორციელდეს პროცესის აუდიო- და ვიდეო ჩაწერა.

7. რექტორი გამოსცემს ბრძანებას აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსის შედეგად შერჩეული კანდიდატის დანიშვნის შესახებ და მასთან ფორმდება შრომითი ხელშეკრულება.

მუხლი 8. მოწვეული ლექტორის შერჩევა

1. მოწვეული ლექტორის შერჩევა ხდება როგორც კონკურსის წესით, ასევე რეკომენდაციების, ბიოგრაფიის/რეზიუმეს (CV), პროფესიული უნარ-ჩვევების, პრაქტიკის, კვალიფიკაციისა და საგნის ხედვის გათვალისწინებით.
2. შერჩეული კანდიდატი/კანდიდატები ატარებენ საჩვენებელ/გაცნობით ლექციას, რომელსაც, როგორც წესი, ესწრებიან: რექტორი, პრორექტორები, შესაბამისი სკოლის დეკანი, პროგრამის ხელმძღვანელი, კოორდინატორი, ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი, აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების მენეჯერი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მენეჯერი, სტუდენტების დეკანი და შესაბამისი მიმართულების ლექტორები.
3. შერჩეულ კანდიდატთან ხდება შრომითი პირობების შესახებ მოლაპარაკება და ფორმდება შესაბამისი შრომითი ხელშეკრულება.

მუხლი 9. საჩვენებელი/გაცნობითი ლექცია

საჩვენებელი/გაცნობითი ლექციის ფარგლებში, როგორც წესი, მხედველობაში მიიღება კანდიდატის/კანდიდატების:
ა) ჩატარებული ლექციის ტექნიკურ და შინაარსობრივ გამართულობა (პრეზენტაციის თემატიკისა და წარდგენილი მასალების საინტერესოობის ხარისხი; გამართულად და გასაგებად მეტყველების უნარი; მარტივად გადმოცემისა და ახსნის უნარი);
ბ) აუდიტორიის დაინტერესებისა და ლექციაში ჩართვის უნარი;
გ) გაწონასწორებულობისა და მოთმინების უნარი (კეთილგანწყობა აუდიტორიისადმი; შეკითხვებზე ადეკვატურად რეაგირებისა და პასუხის გაცემის უნარი; კორექტულობა);
დ) კრიტიკული აზროვნების და ლოგიკური ანალიზის უნარი;
ე) ორგანიზებულობა.

მუხლი 10. ადმინისტრაციული და სხვა პერსონალის დანიშვნის წესი

1. ადმინისტრაციული, აკადემიური დამხმარე და დამხმარე პერსონალის სამსახურში მიღება შესაძლებელია რექტორის გადაწყვეტილების საფუძველზე, მათ შორის, კონკურსის წესით.
2. ადმინისტრაციული და აკადემიური დამხმარე პერსონალის კონკურსის წესით მიღების შემთხვევაში, კონკურსის გამოცხადებისა და პირობების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს უნივერსიტეტის რექტორი.
3. ადმინისტრაციული და აკადემიური დამხმარე პერონალის ვაკანსიის არსებობის შემთხვევაში, მისი სპეციფიკიდან გამომდინარე, თავდაპირველად დგინდება საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რომლებიც თანხმდება იმ კონკრეტულ სტრუქტურულ ერთეულთან, რომლისთვისაც ცხადდება ვაკანსია.
4. ვაკანსია, როგორც წესი, ქვეყნდება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და/ან დამატებით შეიძლება გამოქვეყნდეს სხვა საინფორმაციო საშუალებებში.

5. კონკურსი ტარდება სამ ეტაპად:

ა) CV-ისა და სამოტივაციო წერილების შერჩევა;

ბ) ტესტირება;

გ) გასაუბრება.

6. კონკურსის შედეგად შერჩეულ კანდიდატთან იმართება მოლაპარაკება შრომითი პირობების შესახებ, რის შემდგომაც, როგორც წესი, ფორმდება შრომითი ხელშეკრულება თავდაპირველად გამოსაცდელი ვადით.

7. უნივერსიტეტი უფლებამოსილია ამ წესით გათვალისწინებული აკადემიური თანამდებობის დაკავების გარეშე მოიწვიოს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტი სასწავლო ან/და სამეცნიერო-კვლევით პროცესში მონაწილეობის ან/და ამ პროცესის წარმართვის მიზნით.

მუხლი 11. რექტორის დანიშვნის წესი

უნივერსიტეტის რექტორს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს უნივერსიტეტის პარტნიორი/დამფუძნებელი (ა(ა)იპ - ცოდნის ფონდი).

მუხლი 12. პრორექტორის დანიშვნის წესი

უნივერსიტეტის პრორექტორს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს უნივერსიტეტის რექტორი პარტნიორთან/დამფუძნებლთან (ა(ა)იპ - ცოდნის ფონდთან) შეთანხმებით.

მუხლი 13. კანცლერის დანიშვნის წესი

უნივერსიტეტის კანცლერს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს უნივერსიტეტის რექტორი პარტნიორთან/დამფუძნებლთან (ა(ა)იპ - ცოდნის ფონდთან) შეთანხმებით.

მუხლი 14. დეკანის, ასოცირებული დეკანის, პროგრამის ხელმძღვანელის დანიშვნის წესი

დეკანს, ასოცირებულ დეკანს, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს რექტორი პარტნიორთან/დამფუძნებლთან (ა(ა)იპ - ცოდნის ფონდთან) შეთანხმებით.